



თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო
TELAVI MUNICIPALITY COUNCIL



განკარგულება:გ-27.27221186

თარიღი:28/04/2022

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №23

28 აპრილი 2022 წ.

ქ. თელავი

თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მოქალაქე გიორგი ოქროპირიძისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

„მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, მე-2 და მე-4 პუნქტებისა და 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა თელავის მუნიციპალიტეტის მერს, მოქალაქე გიორგი ოქროპირიძეს პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, **4 (ოთხი) წლის ვადით** გადასცეს თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ ნაფარეულში მდებარე შენობა-ნაგებობის (საკადასტრი კოდი: 53.14.40.009) პირველ სართულზე არსებული 25.5 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართი.
2. საიჯარო ქირის წლიური საფასური განისაზღვროს **1,320** (ათას სამას ოცი) ლარით.
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის გამზ. №41).

თენგიზი მთვარელიშვილი

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

